ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 664/01
20/01/2020

664-01-2-202001201416

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის N12

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება (N13429), რომელიც ეხება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერხვისმინდორში მდ. არეშის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების პროექტს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სატიტულო გვერდზე მოცემულია „სოფ. ვერხვისმინდორში მდ. არეშის ნაპირსამაგრი სამუშაოების სკრინინგის ანგარიში“, ხოლო სკრინინგის განცხადებაში (გვ. 3 და გვ. 9-ზე) მოცემულია საპროექტო არხი, შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ნაპირდაცვითი სამუშაოების შესახებ, აგრეთვე რა მანძილზე იგეგმება ბერმის მოწყობა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს უახლოეს საცხოვრებელ სახლთან და საკარმიდამო ნაკვეთებთან მანძილები;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 9-ზე) მითითებულია, რომ საპროექტო არხიდან ამოღებული გრუნტი გატანილი უნდა იქნას სამშენებლო მოედნიდან 3 კმ მანძილზე, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოცულობის გრუნტი წარმოიქმნება და სად მოხდება ამოღებული გრუნტის გატანა;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას ერთიანი შრიფტით.

სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის დოკუმენტაციის წარმოდგენას.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე